ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე

ეთიკის კომისიის შემადგენლობა:

ციცინო ცხვედიანი - კომისიის თავმჯდომარე

ნინო მიქიაშვილი - კომისიის წევრი

პავლე აბაიაძე - კომისიის წევრი

თეა ჭეიშვილი - კომისიის წევრი

ნელი ვარდიაშვილი - კომისიის წევრი

გიორგი ტურაზაშვილი - კომისიის წევრი

ნათია კორკოტაძე - კომისიის წევრი

ინგა სეხნიაშვილი - კომისიის წევრი

თორნიკე ბაქრაძე - კომისიის წევრი

გოჩა სვანიძე - კომისიის წევრი

ხათუნა გრიგალაშვილი - კომისიის წევრი

ია გაბედავა - კომისიის წევრი

სულხან ონიანი - კომისიის წევრი

საჩივრის ავტორი: ზ. ბ.
საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 22.07.2016
საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 064/16
საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ა. გ.-ს მიმართ /სიითი №/
საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ა. გ.-სათვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2016 წლის 22 ივლისს სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა ზ. ბ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ა. გ.-სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, 2015 წლის 05 მაისს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დადგენილებით, ჯარიმის სახით, დაეკისრა 8 000 (რვა ათასი) ლარის გადახდის ვალდებულება. აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით, ზ. ბ.-მ სამართლებრივი დახმარებისათვის მიმართა ადვოკატ ა. გ.-ს, რომელსაც 03 ნოემბერს გაუფორმა რწმუნებულება.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა 07 დეკემბერს მიმართა სარჩელით თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ კოლეგიას, ხოლო 2015 წლის 10 დეკემბრის განჩინებით სასამართლოს მიერ დადგინდა ხარვეზი და განისაზღვრა მისი გამოსწორების კონკრეტული ვადა. ადვოკატმა აღნიშნულ ვადაში არ შეავსო ხარვეზი, რის გამოც, 2015 წლის 25 დეკემბრის განჩინებით სასამართლომ უარი თქვა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე.

1.4 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატის უმოქმედობის შედეგად გაუშვა გასაჩივრების ვადა და მიადგა მატერიალური ზიანი 8 000 (რვა ათასი) ლარის ოდენობით. სააღსრულებო წარმოება დაწყებულია და ზ. ბ.-ს სახელფასო ანგარიში დაყადაღებულია, რის გამოც იგი იმყოფება მძიმე მდგომარეობაში.

1.5 2016 წლის 08 სექტემბერს გამართულ საპროცესო კოლეგიის სხდომაზე საჩივრის ავტორის წარმომადგენელმა, ადვოკატმა ლ. ს.-მ განაცხადა, რომ ზ. ბ.-ს სურვილი იყო თანხის გადახდის გადავადება ან განაწილვადება, რაც მიღწეული იქნებოდა სასამართლოში საქმისწარმოების დაწყებით, შემდგომი შესაძლო მორიგებით. თუმცა, ამის საშუალება ზ. ბ.-ს მოესპო ადვოკატ ა. გ.-ს უმოქმედობის გამო.

1.6 საჩივრის ავტორის განმარტებით, მასსა და ადვოკატს შორის მოხდა ზეპირი შეთანხმება, მათ შორის ჰონორარის თაობაზე, რომელიც განისაზღვრა 700 (შვიდასი) ლარით და შემდეგ, დამატებით, 200 (ორასი) ლარით.

1.7 საჩივრის ავტორის განცხადებით, ა. გ.-ს არ უცნობებია მისთვის ხარვეზის შევსებასთან დაკავშირებით მისი უმოქმედობის მიზეზის შესახებ. ასევე, ადვოკატი ატყუებდა ზ. ბ.-ს, რომ გადაიხდიდა ჯარიმის ნახევარ თანხას. საჩივრის ავტორის განმარტებით, ჰონორარის თანხა ადვოკატმა დაუბრუნა მას.

1.8 პირველი კოლეგიის განხილვის სხდომა გაიმართა 2017 წლის 30 მარტს. სხდომაზე გამოცხადდა საჩივრის ავტორი ზ. ბ. და მისი წარმომადგენელი ლ. ს.. საჩივრის ავტორის წარმომადგენელმა დაადასტურა საჩივარში მითითებული გარემოებები. ლ. ს.-მ მიუთითა, რომ ა. გ.-ს ქმედებით ზ. ბ.-მ დაკარგა გასაჩივრების უფლება და მიადგა მატერიალური ზარალი, მიუხედავად იმისა, რომ სარჩელის წარმოებაში მიღების შემთხვევაში საქმის შედეგი, რასაკვირველია, წინასწარ არ იქნებოდა ცნობილი.

1.9 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატ ა. გ.-ს მისთვის არ განუმარტავს, რომ იყო სისხლის სამართლის სპეციალიზაციის ადვოკატი ამ ცნობის შემთხვევაში მასთან ურთიერთობას არ დაიწყებდა.

1.10 საჩივრის ავტორის განმარტებით, მას არ ჩაბარებია განჩინება ხარვეზის დადგენის შესახებ და იგი ჩაიბარა ა. გ.-მ, რაც დასტურდება. საჩივრის ავტორის წარმომადგენლის განცხადებით, ადვოკატი ატყუებდა საჩივრის ავტორის მისი საქმის მდგომარეობასთან დაკავშირებით, რის გამოც შემდეგ მთლიანად საქმის მასალები იქნა გამოთხოვილი სასამართლოდან. ადვოკატი ლ. ს. განმარტავს, რომ განჩინება სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ ადვოკატ ა. გ.-ს შესაბამისი წესით არ გაუსაჩივრებია.

1.11 საჩივრის ავტორის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ მას ჰონორარის თანხა დაუბრუნდა, მას სურს ა. გ.-ს დაეკისროს დისციპლინური სახდელი. საჩივრის ავტორის წარმომადგენლის განმარტებით, ადვოკატი ა. გ. აცხადებდა, რომ ვინაიდან მისი ქმედებების შედეგად ზ. ბ.-ს მიადგა ზიანი, იგი აანაზღაურებდა ზიანის ნაწილს, მაგრამ მან ეს პირობა არ შეასრულა.

1.12 ეთიკის კომისიის სხდომა გაიმართა 2017 წლის 09 ნოემბერს. სხდომაზე გამოცხადდნენ საჩივრის ავტორი ზ. ბ. და მისი წარმომადგენელი, ადვოკატი ლ. ს.. ზ. ბ.-მ განმარტა, რომ იგი ეთანხმება მის მიერ წარმოდგენილ ახსნა-განმარტებებსა და მტკიცებულებებს. დამატებით, საჩივრის ავტორმა აღნიშნა, რომ მასსა და ადვოკატ ა. გ.-ს შორის ურთიერთობა ფაქტობრივად შეწყდა, როდესაც სასამართლოს გადაწყვეტილებით მისთვის საზიანო შედეგი დადგა. მანამდე ადვოკატი ატყუებდა ზ. ბ.-ს და უცხადებდა, რომ საქმე კარგად მიმდინარეობდა.

1.13 საჩივრის ავტორის განცხადებით, იგი ა. გ.-ს დაუკავშირდა ნაცნობის მეშვეობით, ხოლო დაკავშირების მოტივი იყო ა. გ.-ს, როგორც ადვოკატის იურიდიული მომსახურების მიღება. ზ. ბ.-ს არ ჰქონდა ინფორმაცია ადვოკატის სპეციალიზაციის შესახებ. ეს ინფორმაცია მან გაიგო სასამართლოს გადაწყვეტილების ჩაბარების შემდეგ. საჩივრის ავტორის წარმომადგენლის, ლ. ს.ს განმარტებით, ეს ინფორმაცია ზ. ბ.-ს მან მიაწოდა, ხოლო თავად შეიტყო სხვა საქმიდან, სადაც მონაწილეობდა ა. გ..

1.14 საჩივრის ავტორის განმარტებით, მხარეთა შორის არ გაფორმებულა წერილობითი ხელშეკრულება, მხოლოდ არსებობდა ზეპირი შეთანხმება და რწმუნებულება. ადვოკატის ახსნა-განმარტებაში მითითებული შეხვედრა, როდესაც მხარეთა შორის მოხდა კონფლიქტი და ურთიერთობის შეწყვეტა, მოხდა ანგარიშის დაყადაღების შემდეგ, როდესაც უკვე არსებობდა სააღსრულებო ფურცელი.

1.15 საჩივრის ავტორის განცხადებით, სარჩელის შეტანის ან სახელმწიფო ბაჟის შესახებ ინფორმაციას იგი არ ფლობდა. ასევე, მას არ მიუღია შეთავაზება ადვოკატისაგან ახალი სარჩელის შეტანის შესახებ. თავდაპირველი სარჩელის შეტანიდან ანგარიშზე ყადაღის დადებამდე გავიდა დაახლოებით ექვსი თვე.

1.16 საჩივრის ავტორის განმარტებით, მას მიადგა ზიანი 8 000 (რვა ათასი) ლარის ოდენობით, ვინაიდან სწორედ ა. გ.-ს ქმედებების შედეგად დაუყადაღა ანგარიში. მას სურდა ჯარიმის თანხის გაუქმება.

2. **ადვოკატის პოზიცია:**

2.1 ადვოკატ ა. გ.-ს საჩივრის შემოტანის შემდეგ ეთიკის კომისიის აპარატი არაერთხელ დაუკავშირდა და მიაწოდა ინფორმაცია აღნიშნულის შესახებ, თუმცა, ადვოკატმა არ ჩაიბარა საჩივარი და თანდართული დოკუმენტაცია. ასევე, ადვოკატი არ გამოცხადდა 2016 წლის 27 სექტემბერს დანიშნულ საპროცესო კოლეგიის სხდომაზე. ადვოკატმა ა. გ.-მ 2016 წლის 10 ოქტომბერს ჩაიბარა ზ. ბ.-ს საჩივარი და თანდართული დოკუმენტაცია, თუმცა, მას ეთიკის კომისიაში საპროცესო ეტაპზე

წერილობითი ან ზეპირი ახსნა-განმარტება არ წარმოუდგენია. ადვოკატს, ასევე, ჩაბარდა გადაწყვეტილება დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე და ეცნობა განხილვის სხდომის თარიღი როგორც სატელეფონო შეტყობინებით, ისე ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. ადვოკატმა დაადასტურა ინფორმაციის მიღება, თუმცა, იგი არ გამოცხადდა სხდომაზე. მას არ მიუთითებია გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზზე და დაადასტურა თანხმობა სხდომის ჩატარებაზე მის დასწრების მიუხედავად.

2.2 ეთიკის კომისიის სხდომა გაიმართა 2017 წლის 09 ნოემბერს. ადვოკატის განცხადებით, მას არ გაუკეთებია განმარტება საჩივრის ავტორისათვის სპეციალიზაციასთან მიმართებით - რომ იგი წარმოადგენდა ადვოკატს სისხლის სამართლის სპეციალიზაციით. ასევე, ზ. ბ.-ს მან არ მიაწოდა ინფორმაცია, რომ სასამართლოს მიერ დადგენილი ხარვეზი მან არ შეავსო. თუმცა, ადვოკატი აღნიშნავს, რომ მან სარჩელით სასამართლოს მიმართა კანონით დადგენილ შესაბამის ვადებში.

2.3 ადვოკატის განმარტებით, სასამართლოს მიერ ხარვეზის დადგენის შემდეგ ზ. ბ.-მ მოსთხოვა სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტა, რის შემდეგ, მხარის მოთხოვნით, ა. გ.-მ დაუბრუნა საჩივრის ავტორსა ჰონორარის თანხა სრული მოცულობით. წარმომადგენლობის გაგრძელების შემთხვევაში შესაძლებელი იყო საქმის გაჭიანურება, რაც მხარისათვის სასარგებლო იქნებოდა, რადგან გადავადდებოდა ჯარიმის გადახდა. ასევე, შესაძლებელი იყო სასამართლოსათვის ხელახალი მიმართვაც, თუმცა, ეს არ განხორციელდა, რადგან კლიენტის ინიციატივით სამართლებრივი ურთიერთობა შეწყდა. დამატებით, საუბარი იყო ჯარიმის თანხის გადახდაში დახმარებაზეც, მაგრამ, როდესაც მხარემ მიმართა საჩივრით ეთიკის კომისიას, ამაზე საუბარი აღარ გაგრძელებულა.

2.4 ადვოკატის განცხადებით, იგი აწვდიდა ინფორმაციას საჩივრის ავტორს გარკვეული პერიოდულობით - ათ დღეში ან ორ კვირაში ერთხელ, სხვადასხვა საშუალებებით - როგორც სატელეფონო კავშირის, ისე შეხვედრების გზით. თუმცა, ხარვეზის შესახებ ინფორმაცია ადვოკატს ზ. ბ.-ათვის არ გადაუცია, რადგან არ ჩათვალა საჭიროდ.

2.5 ადვოკატის განმარტებით, მხარეთა შორის ურთიერთობის შეწყვეტის დროს არ არსებობდა სააღსრულებო ფურცელი და სასამართლოს გადაწყვეტილება არ იყო შესული კანონიერ ძალაში. განმეორებითი სარჩელით მიმართვა სასამართლოსათვის შეიძლებოდა, რადგან ხანდაზმულობის ვადა არ იყო გასული. არსებული პრაქტიკული გამოცდილების დამატებით, რეალური იყო საქმის პერსპექტივა - შესაძლებელი იყო საქმე დაბრუნებულიყო განსახილველად ქალაქ თბილისის მერიაში და დამდგარიყო სხვა შედეგი. შესაბამისად, ადვოკატის მოსაზრებით, მას ზ. ბ.-სთვის ზარალი არ მიუყენებია.

2.6 ადვოკატის განცხადებით, მისთვის არ უთქვამს ზ. ბ.-ს სურდა კონკრეტულად ჯარიმის გადავადება თუ სრულად გაუქმება.

3. **დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:**

3.1. 2016 წლის 27 სექტემბერს საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ა. გ.-ს მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2. საპროცესო კოლეგიის შეფასებით, იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდებოდა, რომ ადვოკატი ა. გ. საადვოკატო მომსახურებას უწევდა ზ. ბ.-ს ადმინისტრაციულ საქმეზე იმ დროს, როდესაც საადვოკატო საქმიანობის ლიცენზია მინიჭებული ჰქონდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციით,

ასევე, მისი უმოქმედობის შედეგად ზ. ბ.-ს მიადგა ზიანი, შესაძლოა დარღვეული ყოფილიყო „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე–5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე–8 მუხლის მე–5 ნაწილი.

3.3. საპროცესო კოლეგის მოსაზრებით, რომ დაცვის უფლების განხორციელების არაკვალიფიციურობაზე მიუთითებს, როდესაც ადვოკატი საქმიანობას არ ახორციელებს ადვოკატთა ასოციაციის მიერ ადვოკატთა ერთიან რეესტრში რიცხული სპეციალიზაციის შესაბამისად. საქმის მასალებით არ დასტურდება, რომ ა. გ.-მ კლიენტს მიაწოდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ის მხოლოდ სისხლის სამართლის სპეციალიზაციის ადვოკატი იყო და არ ჰქონდა სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაცია. შესაბამისად, სავარაუდოდ, ზ. ბ.-ს და ა. გ.-ს შორის არსებობდა შეთანხმება ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის თაობაზე, სამოქალაქო საქმეზე, იმ დროს, როდესაც ა. გ. იყო ადვოკატი სისხლის სამართლის სპეციალიზაციით.

3.4. საპროცესო კოლეგიამ, ასევე, მხედველობაში მიიღო 2015 წლის 25 დეკემბრის განჩინება სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის თაობაზე, რომლითაც დასტურდება, რომ სარჩელი სასამართლოში შეტანილი იქნა 2015 წლის 07 დეკემბერს, ზ. ბ.-ს წარმომადგენლის მიერ, რის შემდეგაც 2015 წლის 10 დეკემბრის განჩინებით, მოსარჩელეს დაუდგინდა ხარვეზი და განისაზღვრა შევსების ვადა 2015 წლის 21 დეკემბრის ჩათვლით, თუმცა, მოსარჩელე მხარის მიერ ეს ქმედება არ განხორციელებულა და არც რაიმე საპატიო მიზეზის არსებობაზე მომხდარა მითითება. შესაბამისად, ზ. ბ.-ს სარჩელის მიღებაზე განჩინებით უარი ითქვა.

4. განხილვის კოლეგიის პოზიცია:

4.1 ეთიკის კომისიის თავმჯდომარის 2016 წლის 14 დეკემბრის მიწერილობით საქმე განსახილველად გადაეცა პირველ დისციპლინურ კოლეგიას. პირველმა დისციპლინურმა კოლეგიამ სხდომა ჩაატარა 2017 წლის 30 მარტს და იხელმძღვანელა რა ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების“ შესახებ დებულების 36-ე მუხლით, 2017 წლის 30 მარტის გადაწყვეტილებით საქმე განსახილველად გადასცა ეთიკის კომისიის სრულ შემადგენლობას.

4.2 განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ ა. გ.-ს მიერ დარღვეულია ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი.

II სამოტივაციო ნაწილი

5. საქმის ფატობრივი გარემოებები

5.1. ეთიკის კომისიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

5.1.1. ადვოკატი ა. გ. ადვოკატთა ერთიან სიაში ირიცხება სისხლის სამართლის სპეციალიზაციის მქონე ადვოკატად, /სიითი № /

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ადვოკატთა ერთიანი სია.

სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ მიერ 2017 წლის 21 აპრილს გაცემული ცნობა.

4.2.2 ა. გ. ზ. ბ.-ს მომსახურებას უწევდა, როგორც ადვოკატი

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

1. 2015 წლის 03 ნოემბრის სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობა.

2. ადვოკატ ა. გ.-ს ზეპირი ახსნა-განმარტება ეთიკის კომისიის სხდომაზე, 2017 წლის 09 ნოემბერს.

4.2.3 საქმისწარმოება, რომელთან დაკავშირებითაც ადვოკატი ა. გ. წარმოადგენდა ზ. ბ.-ს, არ განეკუთვნებოდა სისხლის სამართლის საქმეს.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

2015 წლის 25 დეკემბრის განჩინება სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის თაობაზე.

4.2.4 ადვოკატმა ა. გ.-მ, როგორც ზ. ბ.-ს წარმომადგენელმა სარჩელით მიმართა სასამართლოს, რომელზეც დადგინდა ხარვეზი. ადვოკატმა ხარვეზი დადგენილ დროში არ გამოასწორა.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

2015 წლის 25 დეკემბრის განჩინება სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის თაობაზე,

4.2.5. ადვოკატმა ა. გ.-მ არ მიაწოდა ინფორმაცია ზ. ბ.-ს მისი სპეციალიზაციის შესახებ, ასევე, სასამართლოს მიერ დადგენილი ხარვეზის შესახებ.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

ადვოკატ ა. გ.-ს ზეპირი ახსნა-განმარტება ეთიკის კომისიის სხდომაზე, 2017 წლის 09 ნოემბერს.

4.2 განხილვის კოლეგია აღნიშნავს, რომ საქმეში არ არის სადავო ფაქტობრივი გარემოებები.

6. შემაჯამებელი დასკვნა:

ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ა. გ.-ს მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

7. სამართლებრივი შეფასება:

7.1. ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ ა. გ.-ს მიერ დარღვეულია შემდეგი ნორმები:

7.1.1. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე–5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი: “ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული საქმიანობა.”

7.1.2. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე–8 მუხლის მე–5 ნაწილი: „ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა.“

7.2. ეთიკის კომისიამ, 2011 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილებით, დისციპლინურ საქმეზე #017/11, მიიჩნია, რომ კლიენტის ინტერესების კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად დაცვის ვალდებულების დარღვევას წარმოადგენს, თუ ადვოკატი საადვოკატო საქმიანობას არ ეწევა შესაბამის დარგში. ‘‘ადვოკატთა შესახებ’’ საქართველოს კანონის მე-10 და მე-11 მუხლების მიხედვით განსაზღვრულია ადვოკატთა კვალიფიკაციის ძირითადი მოთხოვნები, რომელსაც ადვოკატი უნდა აკმაყოფილებდეს და აღნიშნული კანონის მე-11 მუხლის მერვე პუნქტის მიხედვით ,,ადვოკატს, რომელსაც ტესტირება გავლილი აქვს სპეციალიზაციის მიხედვით, საადვოკატო საქმიანობის განხორციელების უფლება ეძლევა შესაბამის დარგში.“

7.3. ეთიკის კომისიამ 2011 წლის 26 აგვისტოს #030/11 გადაწყვეტილებით ,,საქართველოს კანონმდებლობაზე დაყრდნობით მიიჩნია, რომ დაცვის უფლების განხორციელების არაკვალიფიციურობაზე მიუთითებს, როდესაც ადვოკატი საქმიანობას არ ახორციელებს ადვოკატთა ასოციაციის მიერ ადვოკატთა ერთიან რეესტრში რიცხული სპეციალიზაციის შესაბამისად. ეთიკის კომისია, მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ ადვოკატთა ასოციაცია ადვოკატს ანიჭებს რა კვალიფიკაციას შესაბამისი სპეციალიზაციით, ამის საფუძველზე აძლევს საადვოკატო საქმიანობის განხორციელების უფლებას საერთო, სამოქალაქო ან სისხლის სამართლის მიმართულებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებით, ადვოკატთა ასოციაცია უზრუნველყოფს ადვოკატის პროფესიული ვალდებულების - კლიენტის ინტერესთა კვალიფიციურად დაცვის - შესრულებას, რაც კლიენტისათვის შესაძლო ზიანის მიყენების რისკს ამცირებს და მინიმალურ სტანდარტს აწესებს, ასოციაციის მიერ მინიჭებული კვალიფიკაციის შესატყვისად კლიენტის ინტერესების დაცვის თვალსაზრისით.“

7.4. ეთიკის კომისია მიუთითებს, რომ სპეციალიზაციის საკითხის განხილვისას მნიშვნელოვანია კლიენტის ინფორმირების საკითხი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 94-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის“ მიხედვით, პირველი ინსტანციის სასამართლოში წარმომადგენლობის უფლებამოსილება გააჩნია ნებისმიერ ქმედუნარიან პირს. იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატი მიაწვდის ინფორმაციას პოტენციურ კლიენტს იმის შესახებ, რომ ის არის სისხლის სამართლის სპეციალისტი და კლიენტი აიღებს რისკს საკუთარ თავზე, რომ ამ ადვოკატმა წარმოადგინოს მისი ინტერესები სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს პირველ ინსტანციაში, ამ შემთხვევაში ადვოკატი არ დაარღვევს პროფესიული ეთიკის ნორმებს.

7.5. ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ა. გ. არის ადვოკატი სისხლის სამართლის სპეციალიზაციით /სიითი #/. სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია“-მ და კანონმა მას სისხლის სამართლის მიმართულებით მიანიჭა კვალიფიკაცია. ამდენად, ადვოკატი ვალდებულია კლიენტს მომსახურება გაუწიოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ გაცემული, კვალიფიკაციის დამადასტურებელ მოწმობაში მითითებული სპეციალიზაციის მიხედვით. ადვოკატის აღნიშნული ვალდებულება თავის მხრივ კლიენტის კვალიფიციური წარმომადგენლობის ერთგვარ გარანტიად გვევლინება.

7.6. ეთიკის კომისია მიუთითებს თავად ადვოკატის მიერ, ეთიკის კომისიის სხდომაზე გაკეთებულ ახსნა-განმარტებაზე, სადაც ა. გ.-მ მიუთითა, რომ მას არ მიუწოდებია ინფორმაცია ზ. ბ.-სათვის მისი სპეციალიზაციის შესახებ. ეთიკის კომისია, ასევე, ითვალისწინებს საქმეში წარმოდგენილ, 2015 წლის

03 ნოემბრით დათარიღებულ, სანოტარო წესით დამოწმებულ მინდობილობას, რომლის მიხედვით, ა. გ., როგორც რწმუნებული, წარმოადგენდა ზ. ბ.-ს ინტერესებს „ყველა ინსტანციის სასამართლოში“. აღნიშნულ უფლებას საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 94-ე მუხლი, რომელიც განსაზღვრავს სასამართლოში წარმომადგენლობის საკითხებს, არ ითვალისწინებს, ვინაიდან ადვოკატის სტატუსის გარეშე წარმომადგენლობა დასაშვებია მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოში. შესაბამისად, სავარაუდოდ, ზ. ბ.-ს და ა. გ.-ს შორის არსებობდა შეთანხმება ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის თაობაზე, სამოქალაქო საქმეზე, იმ დროს, როდესაც ა. გ. იყო ადვოკატი სისხლის სამართლის სპეციალიზაციით.

7.7. შესაბამისად, სამოქალაქო სამართლის საქმეებზე ადვოკატის კვალიფიკაციის არქონა კლიენტის ინტერესებისათვის უდავოდ საფრთხის შემცველია და განხილვის კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატის შესაბამისი კვალიფიკაციის არქონის პირობებში, კლიენტი ვერ იქნება სათანადოდ წარმოდგენილი სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებებში ან/და სასამართლოში, რაც თავის მხრივ, კლიენტის კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად წარმომადგენლობის პროფესიული ვალდებულების დარღვევას წარმოადგენს. ამდენად, განხილვის კოლეგიის მოსაზრებით, ა. გ.-ს მიერ კლიენტის კვალიფიციური და კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის ვალდებულება დაირღვა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დაწყებისთანავე, რადგან დავა, რომელიც კლიენტს უნდა ეწარმოებინა სამოქალაქო კატეგორიის დავას წარმოადგენდა, ხოლო ა. გ.-ს კვალიფიკაცია მხოლოდ სისხლის სამართალში ჰქონდა მინიჭებული.

7.8. კლიენტის მიერ ადვოკატისთვის წარმომადგენლობის უფლებამოსილების მინიჭებისას, ადვოკატი იღებს ვალდებულებას მისი სახელით და მის ნაცვლად განახორციელოს ყველა ის საპროცესო მოქმედება, რაც საქმის წარმოების პროცესში იქნება აუცილებელი, გარდა კანონმდებლობით განსაზღვრული იმ საპროცესო მოქმედებებისა, რომელიც უშუალოდ მარწმუნებელმა უნდა განახორციელოს.

7.9. ეთიკის კომისიამ 2010 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილებაში დისციპლინურ საქმეზე #066/10 კვალიფიციურ მომსახურებასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საადვოკატო საქმიანობა, ადვოკატის მოვალეობები და კლიენტის ინტერესების დაცვა არ მოიცავს მხოლოდ კლიენტის ფორმალურ წარმომადგენლობას სასამართლოში. კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, ადვოკატი ვალდებულია გამოიყენოს მის დასაცავად ყველა საშუალება, რაც არ არის აკრძალული კანონით და პროფესიული ეთიკის ნორმებით.“ 2011 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილებაში დისციპლინურ საქმეზე #074/10 ეთიკის კომისიამ დაადგინა, რომ ,,ადვოკატმა სარჩელის შეტანიდან საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე უნდა უზრუნველყოს საქმის კვალიფიციურად წარმართვა და იმ საპროცესო მოქმედებების კეთილსინდისიერად შესრულება, რაც კანონმდებლობითაა გათვალისწინებული.“

7.10. საქმეში, საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილია 2015 წლის 25 დეკემბრის განჩინება სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის თაობაზე, რომლითაც დასტურდება, რომ სარჩელი სასამართლოში შეტანილი იქნა 2015 წლის 07 დეკემბერს, ზ. ბ.-ს წარმომადგენლის მიერ, რის შემდეგაც 2015 წლის 10 დეკემბრის განჩინებით, მოსარჩელეს დაუდგინდა ხარვეზი და განისაზღვრა შევსების ვადა 2015 წლის 21 დეკემბრის ჩათვლით, თუმცა, მოსარჩელე მხარის მიერ ეს ქმედება არ განხორციელებულა და არც რაიმე საპატიო მიზეზის არსებობაზე მომხდარა მითითება. შესაბამისად, ზ. ბ.-ს სარჩელის მიღებაზე განჩინებით უარი ითქვა.

7.11. ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ ადვოკატმა ა. გ.-მ გაუშვა ხარვეზის შესავსებად განსაზღვრული ვადა და მისი, არაკვალიფიციური მოქმედების შედეგად ზ. ბ.-ს უარი ეთქვა სარჩელის მიღებაზე. ადვოკატის ქმედების შედეგად, ზ. ბ.-ს მიადგა მატერიალური ზიანი, ვინაიდან მას დაკისრებული ჰქონდა ჯარიმა და სწორედ ეს გადაწყვეტილება არ გასაჩივრდა ადვოკატის უმოქმედობის შედეგად. განხილვის კოლეგია ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ საქმის შედეგს ადვოკატი წინასწარ ვერ განსაზღვრავდა, თუმცა, ადმინისტრაციულ სარჩელზე ხარვეზის გამოუსწორებლობის გამო საქმის ზ. ბ.-სათვის დადებითად გადაწყვეტის შანსი მოისპო.

7.12. აქვე, ეთიკის კომისია მიუთითებს, რომ სპეციალიზაციის არქონა, თავისთავად, ურთიერთობის დასაწყისშივე წარმოშობს არაკვალიფიციური წარმომადგენლობის შემთხვევას, მიუხედავად შემდგომი შედეგებისა. თუმცა, ამ სიტუაციაში, სპეციალიზაციის კუთხით პროფესიული ეთიკის ნორმების დარღვევას დაემატა ფაქტობრივად დამდგარი შედეგი - ადვოკატის უმოქმედობა კლიენტის ინტერესების დასაცავად.

7.13. ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ ა. გ.-ს მიერ დარღვეულია შემდეგი ნორმები:

7.13.1. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი: „ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია და განუმარტოს ყველა შესაძლო ფინანსური ვალდებულება, რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან.“

7.13.2. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-6 ნაწილი: „ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წამოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ.“

7.14. ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ადვოკატმა საქმის წარმოებისას კლიენტს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მისი საქმის მიმდინარეობის თაობაზე, რაც მოიცავს საქმის გარშემო სრული ინფორმაციის დროულად მიწოდებას. კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდება საშუალებას აძლევს მას, რომ ჩართული იყოს საქმის მსვლელობის პროცესში. კლიენტის მიერ ადვოკატისათვის რწმუნებულებით უფლებამოსილების მინიჭების მიუხედავად, ადვოკატი ვალდებულია კლიენტთან შეათანხმოს საქმის წარმოებისას მის მიერ განსახორციელებელი მოქმედებები.

7.15. ეთიკის კომისიამ 2010 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, დისციპლინურ საქმეზე №074/10, დაადგინა, რომ ,,ადვოკატის მოვალეობაა კლიენტს მიაწოდოს ყველა ინფორმაცია, რაც უკავშირდება მისი საქმის წარმოებას, რათა კლიენტმა იცოდეს მის მიერ მინდობილი საქმის მსვლელობის თაობაზე. ადვოკატის აღნიშნული ვალდებულება პირდაპირ კავშირშია კლიენტის ინტერესებთან, რადგან კლიენტი წარმოადგენს საქმის შედეგით დაინტერესებულ პირს და მნიშვნელოვანია ის ფლობდეს ინფორმაციას მისი საქმის მიმდინარეობის შესახებ.“

7.16. ეთიკის კომისიის სხდომაზე, თავად ადვოკატმა ა. გ.-მ აღნიშნა, რომ მან არ მიაწოდა ინფორმაცია კლიენტს - საჩივრის ავტორ ზ. ბ.-ს მისი სპეციალიზაციის შესახებ. ასევე, როგორც ადვოკატმა აღნიშნა, მან არ გააცნო ვითარება საჩივრის ავტორს სასამართლოს მიერ ხარვეზის დადგენასთან დაკავშირებით და, ასევე, იმის შესახებ, რომ მან ეს ხარვეზი არ შეავსო. შესაბამისად, ამ გარემოებებიდან გამომდინარე, სადავო არ არის და ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ ადვოკატმა დაარღვია კლიენტის ინფორმირების ვალდებულება.

7.17. ეთიკის კომისია დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებისას მოქმედებს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში და ითვალისწინებს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და

დამამძიმებელ გარემოებებს. კომისიამ გაითვალისწინა დისციპლინური გადაცდომის შინაარსი, სიმძიმე, ფაქტი, რომ ადვოკატმა ა. გ.-მ, რომელსაც მინიჭებული აქვს სისხლის სამართლის სპეციალიზაცია, წარმოადგინა ზ. ბ.-ს ინტერესები სამოქალაქო საქმეზე, როგორც ადვოკატმა, ხოლო ამის შესახებ ინფორმაცია ზ. ბ.-ს ადვოკატმა არ მიაწოდა; ასევე, ა. გ.-მ სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში არ შეავსო დადგენილი ხარვეზი და არც ამის შესახებ აცნობა საჩივრის ავტორს და მიიჩნია, რომ სახდელის სამართლიანობისა და კანონიერების პრინციპის გათვალისწინებით ადვოკატ ა. გ.-ს კვალიფიციური და კეთილსინდისიერი წარმომადგენლობისა და კლიენტის ინფორმირების პრინციპების დარღვევის მიზეზით სახდელის სახით უნდა განესაზღვროს გაფრთხილება. ადვოკატისათვის დადებული სახდელი მიმართულია ადვოკატის პროფესიული ღირსების ამაღლებისაკენ და წარმოადგენს საზოგადოებაში ამ პროფესიისადმი ღირსეული დამოკიდებულების დამკვიდრების გარანტს, რადგან პროფესიულ ავტორიტეტს ქმნის როგორც ყველა ადვოკატის, ასევე ინდივიდუალურად რომელიმე ადვოკატის ეთიკური სტანდარტების დაცვით გაწეული მომსახურება.

III სარეზოლუციო ნაწილი

ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით; მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით, მე-11 მუხლის მე-8 პუნქტით; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილით; ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-6, მე-7, მე-11, მე-16, მე-17, მე-19- მე-20, 21-ე, 36-ე, 37-ე, 39-ე, მუხლებით, მე-40 მუხლის მე-2 პუნქტით და გადაწყვიტა:

1. ადვოკატ ა. გ.-ს მიმართ /სიითი # / დისციპლინური სახდელის ფორმად განისაზღვროს გაფრთხილება.
2. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. ადვოკატ ა. გ.-ს უფლება აქვს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება გაასაჩივროს საქართველოს უზენაეს სასამართლოში (თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების ქ. #32) გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.

კომისიის თავმჯდომარე: /ციცინო ცხვედიანი/

კომისიის წევრი: /ნინო მიქიაშვილი/

კომისიის წევრი: /პავლე აბაიაძე/

კომისიის წევრი:	/თეა ჭეიშვილი/
კომისიის წევრი:	/ნელი ვარდიაშვილი/
კომისიის წევრი:	/გიორგი ტურაზაშვილი/
კომისიის წევრი:	/ნათია კორკოტაძე/
კომისიის წევრი:	/ინგა სეხნიაშვილი/
კომისიის წევრი:	/თორნიკე ბაქრაძე/
კომისიის წევრი:	/გოჩა სვანიძე/
კომისიის წევრი:	/ხათუნა გრიგალაშვილი/
კომისიის წევრი:	/ია გაბედავა/
კომისიის წევრი:	/სულხან ონიანი/